ლენინის საქმის დიდი გამგრძელებლის—საყვარელი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ შთაგონებული მეცნიერნი შრომობენ ჩვენი საბჭოთა საშობლოს ხალხთა საკეთილდღეოდ. ისინი მუდამ გრძნობენ სტალინურ დახმარებას, სტალინურ მზრუნველობას მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირე რესპუბლიკებში და ოლქებში მეცნიერების განვითარებისათვის.

ჩვენ, სსრკ ყველა ეროვნების მეცნიერები, მთელი სულით და გულით ვუსურვებთ დიდ სტალინს ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.





ნიკო კასხოვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა, რომ ადამიანს შეუძლია ბუნების ძალების წარმართვა თავის სურვილისამებრ. ადამიანს მოძრაობაში მოყვას თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით იგი მოქმედებს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს მასში ცვლილება და ამავე დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიც. იგი აწვითავს ბუნებას ამ უკანასკნელში მთვლენადე სხვადასხვა ნივთს და მათ ამოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს ("მარქსი").

მთელი თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა მთავრობის საქმიანობა მიმართული იყო ბუნების ძალების დამორჩილებისაკენ, ამ ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენებისაკენ. უდიდესი კაობების ამოშრობა, ახალი გიგანტური არხების გაყვანა, ახალი წყალსაცავების შექმნა, მდინარეთა და ზღვათა შეერთება მძლავრ სანაოსნო სისტემებად შეუჩერებელი და თანმიმდევრებით ხორციელდებოდა და ხორციელდება ჩვენში სტალინური ხუთწლიანი გეგმებით. ამის ნათელსაყოფად საქმარისია თვლი გადავლით ჩვენს მხარეს, საქართველოს. სტალინურმა ხუთწლიანმა მთლიანად შესცვალეს იგი. კოლხიდა კაობებისა და გაუფალი ბარდინი ტყეების მხარე იყო, დღეს აყვავებული ბაღარია, დოვლათისა და ბარაქის მხარეა, აქ, სადაც 30 წლის წინათ ხალხი ციგბ-ცხელებისაგან იყუთებოდა, დღეს ნამდვილი საბჭოური შემოქმედებითი ცხოვრება სდულს და გადმოდულს.


დიდი სტალინის მითითებანი, რომ საქართველო გადაქცეულიყო საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული კულტურების ძირითად ბაზად, იშვიათი სისწრაფითა და სიზუსტით განახორციელა დიდი ბელადის თანამებრძოლმა ამხანაგმა ლ. ბერაიამ. ამ დიად გეგმის თანმიმდევრულად აუციტარებენ საქართველოს

ბოლშევიკები ამხანაგ კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით.

მართალია, საქართველოში ძველთაგანვე იყო სუბტროპიკული კულტურები (ლიმონი, ნარინჯი, თურინჯი, ფორთოხალი), მაგრამ ისინი შეუყუთული იყვნენ ვიწრო ხეობებში და ხალხის კეთილდღეობის წყაროს არ შეადგენდნენ. რევოლუციამდე საქართველოში 200 ჰექტარამდე ციტრუსოვანთა ნარგავები იყო, 800 ჰექტარამდე ჩაი. რასაკვირველია, ასეთი ფართობი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის ბედნიერების წყაროდ ვერ გახდებოდა. ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს კულტურები სიხალხო კულტურებად გადაიქცეოდნენ, ამის კი პირველ რიგში ხელს უშლიდა ბუნებრივი პირობები, რომლის გარდაქმნაც ძველად არ შეეძლოთ.



იქ, სადაც საუკუნეების მანძილზე კაობები სწამლავდნენ ბაგის, ახლა კოლხიდაში ციტრუსები მოჰყავთ.



კოლხიდის ტაობების ამოწრობა რეფუდირების მეთოდით

უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროები ზუსტად სუბტროპიკული ჰავის რაიონი არ არის, იგი მხოლოდ მინაგვარია სუბტროპიკებისა. ბოლშევიკებმა სწორედ ეს მინაგვარი აქტიური ჩარევის შედეგად გამოიყენეს და დაუმორჩილეს თავის ნება-სურვილს. მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენებით შესაძლებელი გახდა ასობით ათას ჰექტარზე სუბტროპიკული კულტურები გაგვეყენებინა, შეგვექმნა სუბტროპიკული ტექნიკური და საკვებ მცენარეების ძლიერი ბაზა. ბუნების ამ გარდაქმნამ გარდაქმნა ამ მხარის ეკონომიკაც. დღეს ამ მხარეში უკვე გვაქვს ხეაღის კოლმეურნეობანი, კოლმეურნეობანი, სადაც იმდენი დოვლათი დატრიალდა, რომ შესაძლებელია ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში ილაპარაკო პროდუქტების განაწილებაზე. არა მარტო შრომის მიხედვით, არამედ საქიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით.

ჩვენში ცხოვრება სიხარულად გადაიქცა. უნებლიედ თვალწინ მიდგება 1949 წ. შემოდგომაზე გამართული ხალხური შემოქმედების ოლიმპიადი, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ჩვენი კოლმეურნეთა გამოსვლა ამ ოლიმპიადაზე — მათი სიხარული, იმედი, რწმენა. განსაკუთრებით გულში ჩამჩა სოფ. გულრიფშის კოლმეურნეობის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, მისი ლოტარია — სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სიმინდის მოსავლის რეკორდის დამყარებელი ახმ. ტარბა, ლუბა ტარბა და სხვა მრავალი. ამ გუნდში მარტო სოციალისტური შრომის გმირი იყო 6 კაცი, ორდენოსანი ხომ მრავალი!

რამ შეგნა ასეთი ცხოვრება, როდესაც შეიძლება ერთმანეთს გამოიყვანოს ისეთი ანსამბლი, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით პროფესიონალურ გუნდებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ ამავე დროს თავისი შემადგენლობით პირდაპირი გამოსახულებათა თანამედროვე ჩვენი სოფლისა — შრომის პათოსიზა აღჭურვილი. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ აღნიშნა:

„უკანასკნელი ცნობებით საქართველოში არის 4059 კოლმეურნეობა, რომლებშიც ირიცხება 471698 საკოლმეურნეო კომლი ანუ ყველა გლეხური მეურნეობის 98 პროცენტია“.

„შრომა-დღეზე საშუალოდ რესპუბლიკაში 1947 წ. გაიცა 2,7 კილოგრამი მარცვლეული და 3 მანეთი და 90 კაპ. ფულად, ნაცვლად 1940 წ. გაყვებული 1,9 კილოგრამი მარცვლეულისა და 2 მანეთისა ფულად“.

შემდეგ:

„მარშან (ე. ი. 1947 წ. ნ. კ.) 258 კოლმეურნეობამ ერთ მილიონ მანეთზე მეტი მხოლოდ ფულადი შემოსავალი მიიღო თვითელადა“.

„ხორბლის, სიმინდის, ჩაის, შაქრის ქარხნისა და თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის დარგში საწინაშეო მაჩვენებელთა მოპოვებისათვის 1946 და 1947 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის 260 მოწინავეს“.

დღეისათვის კი საქართველოში 745-ზე მეტი სოციალისტური შრომის გმირია.

ასეთი მარტო ჩვენი მხარე კი არ არის. ასე ვითარდება ცხოვრება სხვა მოძვე საბჭოთა რესპუბლიკებშიც.

საბჭოთა წყობილება, საბჭოთა სახელმწიფო იმი-თაც განსხვავდება ყველა სხვა სახელმწიფოსაგან, რომ მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდება. საქირო გახდა ბუნების გარდაქმნაში უფრო აქტიურად ჩაერეულიყავით და აი 1948 წ. ოქტომბრის 23-ს სსრკ მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიიღეს ისტორიული დადგენილება — ბუნების გარდაქმნის დიდი და გრანდიოზული გეგმა: სსრ კავშირის ევროპული მკვირ და ტყე-ველიანი რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორისაკენ ტყის

ნარკვევების, ნათესბალახიანი თესლობრუნვის დანერგვისა და წყალსატევების მშენებლობის შესახებ.

ეს გეგმა უზრუნველყოფს მოსავლიანობის გასამაგვებს, ბევრგან გაათავებებს საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე. თუ რა გრანდიოზულ სამუშაოებია განზრახული, დასტურდება თუნდაც იმით, რომ გეგმით გათვალისწინებულია გაშენებულ იქნას სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლი, რომლის საერთო სიგრძე 5300 კილომეტრზე მეტია. ყველაზე გრძელი ზოლი 1080 კილომეტრი სიგრძისაა. 1949 — 1955 წლებში გათვალისწინებულია გაშენებულ იქნას 5 709 000 ჰექტარი ტყე. აქედან კოლმეურნეთა ძალეებით, სახელმწიფოს დახმარებით, 392 500 ჰექტარი, სატყეო სამინისტროს ძალეებით — 1536,5 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობების მიერ — 58 000 ჰექტარი.

ასეთი მასშტაბის სამუშაოები შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც სოციალისტური წყობილებაა, სადაც სტალინური კონსტრუქციის საფუძველზე დამყარებულია მეურნეობის სოციალისტური პრინციპები, სადაც ხალხს ხელშეწყობენ დიდი მუშაობა ამხანაგი სტალინი.

რადაა საჭირო, რომ ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად სწორედ ასეთი დადგენილება მიეღო ჩვენს მთავრობას.

ამაზე პასუხს დადგენილების პირველივე სტრიქონები იძლევიან:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში ხშირი გვალვებისა და ცხელი ქარების გამო ამ რაიონების სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება. ამავე დროს მეცნიერებით დამტკიცებულია, ხოლო მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტკვებისა და რაიონების პრაქტიკით დადასტურებულია, რომ თუ ამ რაიონებში სწორი მიწათმოქმედებას შემოვიღებთ, ყველა შესაძლებლობა არსებობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის განვითარებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ამისათვის საჭიროა, რომ ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების ყველა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე 1949 წლიდან დაიწყონ ადგილობრივი და ფართოდ დანერგონ მიწათმოქმედების აღმავლობის აგრონომიულ ღონისძიებათა სისტემა გამოჩენილი რუსი აგრონომების ვ. ვ. დოკუაივის, პ. ა. კოსტინიკის და ვ. რ. ვილიამის მოძღვრების შესაბამისად, რომლებმაც მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის სახელწოდება მიიღო და რომელშიც შედის:

ა) მინდორსაცავი ტყის ზოლების დარგვა წყალგამყოფებზე, თესლობრუნვის მინდვრების სახეობებზე,

ბ) ხეების კალთებზე, მდინარეებისა და ქვიშაჩაის გატყევა და შემავრება;

ბ) ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია ნათესბალახიანი მინდვრისა და საკვები თესლობრუნვის შემოღებით და მიწის სავარგულების რაციონალური გამოყენებით;

გ) ნიადაგის დამუშავების, ნათესების მოვლის სწორი სისტემა და, უწინარეს ყოვლისა, საშემოდგომო ანულის, მზარად ხვნისა და ნაწვერალის აოშვის ფართოდ გამოყენება;

დ) ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების სწორი სისტემა;


ე) ადგილობრივ პირობებთან შეგუებული უხვ-მოსავლიანი ჯიშების სასუქეთესო თესვით თესვა;

ვ) მორწყვის განვითარება ადგილობრივი წყლების გამოყენების ბაზაზე გუბერნიებისა და წყალსატევების მშენებლობის გზით“.


ჩამოთვლილი ღონისძიებანი უზრუნველყოფენ მაღალ მოსავლას, გვალვასთან უკეთეს ბრძოლას. ცნობილია, რომ ტყით დაფარულ ადგილებში თოვლი არ ინაქვდება, ნიადაგი დიდ სიღრმეზე არ იყინება, თოვლის დნობა ხანგრძლივდება (3 — 7 დღე) და წყალიც დიდ სიღრმეში ჩადის.

დოკუაივის სახელობის მიწათმოქმედების ინსტიტუტი მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდა დიკტირებას ვირონეის ოლქის „კამენაის სტეპში“.

ტყის ზოლებში ზოლთა შორის ქარის სისწრაფე შემცირდა 30 — 40% -ით, შემცირდა ნიადაგიანი



მდინარეთა ნაპირების გამაგრება მინდვრების დასაცავად წყალდიდობისაგან კოლხიდაში.



მინდორსაცავი ზოლი „კამენაია სტეპში“ (ვრონეჟის ოლქი).

წყლის აორთქლება, ჰაერის შეფარდებითი სინესტე 4—5%-ით მეტია ტყის ზოლებში მოქცეულ მინდვრებზე, ვიდრე ღია ადგილას. ასეთ ღონისძიებათა ზუსტად გატარების შედეგად მოსავლიანობა საგრძნობლად იზრდება, რაც აღნიშნულია მთავრობის დასახელებულ დადგენილებებში:

„მეწითომქმედების ცენტრალური შავნიდაგიაი ზოლის 3, 3, დოჟნაგის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მინდვრებზე (ყოფილი „კამენაია სტეპი“ საცდელი სადგური), სადაც აგრონომიულ ღონისძიებათა აღნიშნული სისტემა ყველაზე სრულადაა ათვისებული, მარცვლოვანი კულტურების მოსავალი მოკლე ხანში გაორკეცდა და საშუალოდ ჰექტარზე 20—25 ცენტნერს მიაღწია. 1946 წელს, როცა დიდი გვაღა იყო, ინსტიტუტის მინდვრებზე ჰექტარზე მოიყვანეს 16,5 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 15 ცენტნერი საშემოდგომო ჭევი, 10,6 ცენტნერი საგაზხაფუთო ხორბალი, 15,8 ცენტნერი შვრია და 21,2 ცენტნერი მზესუმზირა მაშინ, როცა მახლობელ კოლმეურნეობებში მარცვლოვანი კულტურების მოსავალი 3—4-ჯერ ნაკლები იყო. როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტა“, რომელმაც ნათესბალახიან თესლბრუნვა აითვისა და 600 ჰექტარზე მეტ ფართობზე გააშენა მინდორსაცავი ტყენარგავები, ყოველწლიურად მარცვლოვანი კულტურების უხეი მოსავალი მოჰყავს. ტყის ზოლებით დაკულ მინდვრებზე საშემოდგომო ხორბლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერს აღემატება.

როსტოვის ოლქის სალკის რაიონის კოლმეურნეობებში, რომლებმაც თავიანთ მინდვრებზე გა-

აშენეს 2600 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები, აითვისეს ნათესბალახიანი თესლბრუნვა და გამოიყენეს მაღალი აგროტექნიკა, სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს მოსავლისათვის ბრძოლაში. მინდვრები 1946 წელს ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მარცვლოვანი კულტურების 13,6 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ამ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მარცვლოვანი კულტურების 18 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს. სტალინგრადის ოლქში კავანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას, ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობას, კოლმეურნეობა „ბოლშევისტსკოე ზნამიას“, დიომინსკის კოლმეურნეობას და სხვებს, რომლებსაც დიომინსკის მტს-ი უწევს მომსახურება და, რომლებიც ნათესბალახიან თესლბრუნვას ითვისებენ და მინდორსაცავ ტყის ზოლებს ჰქმნიან, მარცვლოვანი კულტურების 3—4 ცენტნერით მეტი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე მეზობელ კოლმეურნეობებს, რომლებსაც არა აქვთ ტყენარგავები და ნათესბალახიან თესლბრუნვას არ ითვისებენ“.

საბჭოთა კავშირის ველებისა და ტყე-ველების ზოლი, როგორც ზემოთყვანილი ციფრებით დასტურდება, უმეველად მოითხოვდა ფრიალ აქტიურ ჩარევას, რადგან ეს მხარეები მეტად გვაღიანია. ასე, მაგალითად, წლიური დანალექების რაოდენობა გურაევში უდრის 160 მილიმეტრს, ასტრახანში — 206 მმ, სტალინგრადში — 230 მმ., ჩკალოვში — 350 მმ., ურალსკში — 307 მმ. და ა. შ. თუ რამდენად მცირეა დანალექთა ეს რაოდენობა, ნათელი იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ თბილისში დანალექთა რაოდენობა ითქვამის 500 მმ-ია. გვაღა ამ რაიონებში ძლიერდება იმიტაც, რომ ზღვრული, ე. ი. ის დრო, როდესაც მცენარეს განსაკუთრებით ესპირება წყალი, უწყვიმარია, ცის ნამი არ ვარდება. ამავ დროს ფრიალ დიდი სიციხეთი იცის. ასე, მაგალითად, გურაევში ივლისის საშუალო ტემპერატურა უდრის 23,5°C, ასტრახანში — 25,3°C, სტალინგრადში — 24,7°C და სხვ. ეს დიდი სიციხეები ნიადაგს უფრო აშრობენ, წყლის ნატამალს არ სტოვებენ შვგ, ნაჩი კულტურული მცენარე გვაღას ვერ უძლებს და იღუბება.

საბჭოთა აგრონომიულმა მეცნიერებამ დოჟნაგის, კოსტინევისა და ვილიამის მოძღვრების საფუძველზე დაამუშავა კომპლექსი ღონისძიებების, რომელშიც უზრუნველყოფენ დიდ მოსავალს ისეთ ბუნებრივ პირობებშიც, როგორიც საბჭოთა კავშირის ველებისა და ნახევარუდაბნოების მხარეშია. დოჟნაგე-კოსტინე-ვილიამის მიწათმოქმედების სისტემას ბალახ-მინდვროვანი სისტემა ეწოდება. ამ სისტემის ცხოვრებაში გატარების წყალობით მრავალმა რაიონმა მოსავლიანობა ერთი-ორად გაზარდა.

1948 წ. 23 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება შესაძლებელს ხდის ფართოდ დანერგოთ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევანი, მისაწვდომი გახადოთ მილიონებისათვის. ამ დადგენილების განხორციელება ასობით მილიონ ჰექტარ ახალ სა-

სარგებლო ფართობს ჩააყენებს ხალხის სამსახურში. თუ აქამდე ამ ადგილებში დღემდე საშუალო მოსავალა 6—7 ცენტერი იყო, ამ გეგმის განხორციელება საშუალებას გვაძლევს მარცვლეულის მოსავალი გაიზარდოს 20—30 ცენტრამდე, მრავალ ადგილას გაიზარდოს ბალახებში, 2—3-ჯერ და მეტად გაიზარდოს მესაქონლეობა, რადგან ბალახ-მინდვროვანი, სისტემა გულისხმობს საკვებ-ბალახების თესვას, მისი მოსავლიანობის ზრდას, მასშია-დამე, მესაქონლეობის უზრუნველყოფას საკვებით.

სრკ მინისტრთა საბჭო ავალისებს მწიფომომე-ღების სამინისტროს, რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელების 1950 წ. გადაიყვანონ კოლმეურ-ნებთან, ბალახ-მინდვროვან თესვებზე, უზრუნ-ველყოფა ნიადაგის სწორი და წესიერი დამუშავება, ე. ი. ხვნა 20—22 სანტიმეტრის სიღრმეზე, სადაც ეს საჭიროა, დროგამოშვებით, შავმიწიანი ნიადაგ-ში მოიხსნას 25—27 სანტ. სიღრმეზე. უზრუნველ-ყოფილი იქნას ნაწვევარის აოხვა, 1955 წლისათვის შვად ნახნავის რაოდენობა გაიზარდოს 9540 000 ჰექტარამდე, 1957 წლისათვის მზრალად მოიხსნას 36200 000 ჰექტარი და 1951 წლიდან მთელი ახალი თესლი მზრალად ნახნავზე ითესვებოდეს, ვებრძოლით სარეცლას, შევინარჩუნოთ ნიადაგი ტენი, გონიე-რულად და სწორად გამოიყენოთ მინერალური და ორგანული სასუქი, შექმნათ ფონდი მაღალმოსავ-ლიანი, ჯიშებისა და სხვ. დადგენილება დაიღ ყუ-რადღებას უთმობს აგრეთვე წყალსაცავებისა და არ-ხების შექმნას. ასე, მაგალითად, 1950—55 წ. წ. კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს 41300 წყალსა-ცავი, საბჭოთა მეურნეობებში—3938, სულ კი—44228.

მთელი ამ დიდი სამუშაოს ჩატარება შეუძლებე-ლია მექანიზაციის გარეშე, ამიტომაც, რომ დადგე-ნილებით 1950—51 წ. წ. უნდა მოეწყოს 570 ტყესაცავი სადგური, რომელთაც ევალება ტყის ზოლების შექმნის ძირითადი სამუშაოების სრული მექანიზაცია და შესრულება.

მრავალი ღონისძიება დამუშავებულა და გატა-რებული ცხოვრებაში ჩვენი, მაგრამ ვერც ერთი თავისი გრანდიოზულობით ვერ შეედრება ბუნების გარდაქმნის ამ დიდ გეგმას. ამ გეგმის განხორციელე-ბა ქმნის უხვი მოსავლის, სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქტების დიდ რაოდენობით მიღების პირობებს. ამ დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა ისიცაა, რომ იმ რაიონებისა და ოლქებისათვის, რომელნიც უშუალოდ დადგენილებაში არ არიან ადნისწლანი, სავადლებელაა ასეთ სამუშაოთა ჩატარება.


საბჭოთა ხალხმა ენათუზიანით მოჰკიდა ხელი ბუნების გარდაქმნის ბუმბერაზული სტალინური გეგ-მის განხორციელებას. ამ ისტორიული დადგენილე-ბის მიღების ერთი წლისთაგზე ჩვენს სამშობლოს უკვე შეეძლო ემაყნა მიღწეული წარმატებებით: ტყეების დარგვის წლიური გეგმა უკვე გაზაფხულის პერიოდში იქნა შესრულებული, სატყეო საერ-გებების გეგმა გადაჭარბებული იყო 11 $\frac{1}{6}$ -ით და ა. შ. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დიადი

სტალინური გეგმა გადაჭარბებითა და ვადადღე იქნას შესრულებული.

ამ დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. მინდორსაცავი ტყის ნარგავები ჩვენი უნდა შეიქმნას სუბტროპიკულ რაიონებშიც, სადაც ისინი ცივი ქარისა და ყინვისაგან დიდიგვენ სუბტროპიკულ მცენარეებს. აღმოსავლეთ საქარ-თველოს ველის რაიონებში ამ ზოლების ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ველისა და ტყეების ზოლში.

ჩვენი უკვე დიწყო გრანდიოზული მშენებლო-ბა სამეორის ველის სარწყავი ახისა, რომელმაც საბოლოოდ უნდა მორწყას დაახლოებით 40 000 ჰექ-ტარი; აქ ტყის ზოლები და ტყის მასივები 10 000 ჰექტარზე უნდა გაიზარდოს. უკვე დამუშავებულია ჯიშები ახალ რაიონების მიხედვით. ასევე საჭიროა ტყის ზოლების გაიზრება ტრიფონის ველზე, დე-ლოფის მინდორზე, დოლაღურზე, გარდაბანის ველ-ზე და სხვაგან, მაგრამ ამავე დროს უდიდესი ყუ-რადღება უნდა მიექცეს ამ რაიონებში გადარჩენილ ტყის ნაკვეთებს, ტყის ნაშთებს, ბუჩქნარებს—ყვე-ლა ესენი უნდა დავიცვათ და ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ისინი კვლავ აღდგნენ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჭალის ტყის აღდგენას.

ჩვენი სამშობლოს მთელ თვალწინდელ ტერი-ტორიაზე მიმდინარეობს ბუმბერაზული ბრძოლა ბუ-ნებასთან—ქვიშა-სილასთან, გავლენებით, ყინვებთან, მოსავლის სხვა მტრებთან. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე აგრონომიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი, რომელ-საც სტალინის გენია უნათებს ვხას, მოიგებს ამ ბრძოლასაც ისე, როგორც სხვა მრავალი ისტორი-ული ბრძოლა მოუგია.



მოუყვებელი გზებზე მშენებელ სტალინის ოლქი, ასკანია-ნოვკა)



ი. ბ. სვანიძე — სსრკ ელექტროფიკაციის სულისკამ- ფგმელი და ხელმძღვანელი

ნიკოლოზ გაბაშვილი

ტექნიკა მეცნიერებათა დოქტორი

მთელი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად ჩვე-
ნი ქვეყნის მთელი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგა-
დოებრიობა უდიდესი პატრიოტული და შრომ-
მედდებით აღმავლობით აღნიშნავს დიდი ბელადის,
საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლისა და საბჭოთა
მეცნიერების კოორდინატორს ი. ბ. სვანიძის დაბადების
სამოქალაქო წლისთავს.

ი. ბ. სვანიძე — მოწინავე მეცნიერებისა და
ტექნიკის და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ელექ-
ტროფიკაციის სფეროსამდგომელი. დიდი ბელადის
დაბადების 70 წლისთავის ზეიმის დღეები ამავე
დღის წარმოადგენენ იმ შესანიშნავ წარმატებე-
ბის შეჯამებას, რაც საბჭოთა საზოგადოებრივმა
და სახელმწიფო წყობილებამ სახალხო მეურნეობის,
კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგ-
ში მოიპოვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში
განხორციელებულია არაჩვეულებრივად დიდი სო-
ციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა, გატარებულია
სახალხო მეურნეობის ძირითადი რეკონსტრუქცია,
შექმნილია მსხვილი სოციალისტური მრეწველობა
და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა დიდ
მნიშვნელობას აძლევს, ვ. ი. ლენინთან ერთად,
ი. ბ. სვანიძე ელექტროფიკაციაზე დამყარებული
ტექნიკურად მოწინავე მსხვილი მრეწველობის შე-
ქმნას.

1918 წლის აპრილში ვ. ი. ლენინი მეცნიერება-
თა აკადემიის მუშაობის გეგმის მოწინააღმდეგე
მყოფი იყო; რომ საჭიროა „განსაკუთრებული ყურად-
ღება მიექცეს მრეწველობისა და ტრანსპორტის
ელექტროფიკაციის და ელექტრობის გამოყენების მი-
წათმოდებელში. არა-მხოლოდ საზოგადოებრივი საბო-
ბის (ტორფი, ყველაზე ცუდი ხარისხის ნახშირი)
გამოყენებას ელექტროენერგიის მისაღებად, საწვავის
მოპოვებასა და გადაზიდვებზე უმცირესი დანახარ-
ჯით, წყლის ძალასა და ქარის ძრავებს საერთოდ
და მჭიდრომქმედებისათვის“.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სვანიძე განიხილავდნენ
ელექტროფიკაციის როგორც უმნიშვნელოვანეს
ელემენტს, რომელიც შესაძლებელს გახდის სო-
ციალიზმის აგებას ერთ ქვეყანაში. ამგვარად,

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სვანიძის იდეები ელექ-
ტროფიკაციის შესახებ წარმოადგენენ ერთ ქვე-
ყანაში სოციალიზმის აგების შესახებ მოძღვრების
ორგანულ შემადგენელ ნაწილს.

1925 წელს ახსანავი ი. სვანიძე ამბობდა:
„ჩვენ გვესაზიარებდა 15-20 წელიწადი ინდუსტრიუ-
ლი პროლეტარი, ჩვენი ქვეყნის ძირითადი რაი-
ონების ელექტროფიკაცია, კომპერირებული სოფ-
ლის მეურნეობა და დიდად განვითარებული ლი-
თონის მრეწველობა. და მაშინ ჩვენივე საშინო
ალერგიები არავითარი საფრთხე.“

ახსანავი სვანიძე იბრძოდა ქვეყნის ელექ-
ტროფიკაციის ლენინური გაგების გაყალბების
წინააღმდეგ, მისი ვიწრო ენერგეტიკულ შინაარსამ-
დე დაყენების წინააღმდეგ. მან მოგვცა ელექტრო-
ფიკაციის ლოგიკურად მწყობრივ და მკაფიო განსაზ-
ღვრა:

„... ქვეყნის ელექტროფიკაციად ლენინი გულის-
ხმობს არა ცოლვე ელექტროსადგურების აგებას
განცალკევებულად, არამედ „ჩვენი ქვეყნის მეურ-
ნეობის, და მასთან ერთად მიწათმოქმედებისაც,
გადაყვანას ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე
მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე,“ წარმოე-
ბისა, რომელიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არა-
პირდაპირ, დაკავშირებულია ელექტროფიკაციის
საქმესთან“.

ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სვანიძემ განსაზღვრეს
ელექტროფიკაციის არა მარტო ადგილი და მნიშ-
ვნელობა საწარმოო ძალთა განვითარების საერთო
სისტემაში, არამედ ის გზებიც, რომლითაც უნდა
წასულიყო სოციალიზმის ქვეყნის ელექტროფიკა-
ციის განვითარება.

კაპიტალისტური ელექტროფიკაციისაგან განს-
ხვადებით, სოციალისტური ელექტროფიკაცია უნ-
და ზორიკიდებოდეს გეგმავრობაზე, ვ. ი. ერ-
თინი სახელმწიფო გეგმის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში
ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ელექტროფიკაციის სახელ-
მწიფო გეგმის დამუშავების, 10-20 წლისათვის
ნაფარუდები სამუშაოთა დიდი პროგრამის შექ-
მნის ამოცანა. ვ. ი. ლენინის თაოსნობით, ელექ-
ტროენერგეტიკული მეცნიერებისა და ტექნიკის
მოღვაწეთა მონაწილეობით, დამუშავებულ იქნა ცნო-



3. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ამუშაობენ „გოელროს“ გეგმას

ზატკარ დ. ა. ნაზბანდინის ნახატი.

ბილი „გოელროს“ („რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კონისია“) გეგმა, რომელშიც ასახული იყო ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის იდეები ელექტროფიკაციის შესახებ.

„გოელროს“ გეგმამ ი. ბ. სტალინის მაღალი შეფასება მიიღო. თავის ცნობილ წერილში ვ. ი. ლენინსადმი ამხანაგი სტალინი სწერდა:

„უკანასკნელ 3 დღეს შესაძლებლობა მქონდა წამეკითხა კრებული „რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა“. ავადმყოფობამ შემეწყო ხელი (ზოგი ჭირი მარგებელია!). საუცხოო, კარგად შედგენილი წიგნია. ისტატური მონასახია ნამდვილად ერთიანი და ნამდვილად სახელმწიფო გეგმისა უბრაუალებოდ. ჩვენს დროში ერთადერთი მარქსისტული ცდაა შეეკმნას მეურნეობრივად ჩამორჩენილი რუსეთის საბჭოთა ზედნაშენს ნამდვილად რეალური და ახლანდელ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი ტექნიკურ-საწარმოო ზაზა“.

ი. ბ. სტალინმა დაიცვა ეს გეგმა საბჭოთა სახელმწიფოს დაუძინებელი მტრებისაგან, სათავეში ჩაუდგა მის განხორციელებას და შესწლო მისი

მოკლე ვადაში რეალიზება. საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია, რომელიც, სტალინური ხუთწლიდების მანძილზე ხორციელდება, წარმოადგენს „გოელროს“ პროგრამისა და იდეების რეალიზაციას და შემდგომ განვითარებას.

საინტერესოა მეფის რუსეთის და საბჭოთა რუსეთის ელექტროფიკაციის დონის შედარებითი ციფრები. მეფის მთავრობამ დატაკური ენერგეტიკული მეურნეობა დასტოვა: ელსადგურების მთელი სიმძლავრე 1913 წ. უდრიდა 1098 ათას კილოვატს, ელექტროენერგიის წლიური გამოშვავება კი—1945 მილიონ კილოვატ-საათს.

„გოელროს“ გეგმით გათვალისწინებული იყო 15 წლის განმავლობაში 30 რაიონული ელსადგურის (20 სითბური და 10 ჰიდროელსადგურის) აგება, რომელთა საერთო სიმძლავრე 1750 კვტ/ს უნდა ყოფილიყო.

თუ შედეგელობაში მივიღებთ, რომ რუსეთს მაშინ სრულებით არ მოუპოვებოდა ჰიდროელსადგურები, ჰიდრომშენებლობის პროგრამა—640 კვტ სიმძლავრის ამუშავებით—განსაკუთრებით დიადი

აყო. ენერგეტიკის ეს დარგი მაშინ ახლად იქმნებოდა.

ეს გეგმა, ი. ბ. სტალინის სისტემატური ხელმძღვანელობით, იმის მეოხებით, რომ ის წარმართავდა და ასულდგმავლად ყველა დიდი ელსადგურის მშენებლობას, თუ წელაწადში მნიშვნელოვნად იქნა გადაჭარბებული.

30 ახალი ელსადგურის ნაცვლად, რაც „გოელროს“ გეგმით იყო გათვალისწინებული, 10 წელაწადში აგებული იქნა 40 მძლავრი ელსადგური.

„გოელროს“ გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის შემდგომ მძლავრ გაშლას სტალინური ზეოქსიდების მიხედვით.

აჯამებდა რა პირველი ზეოქსიდის გეგმის შესრულების შედეგებს, ამაზაგი სტალინი 1933 წ. აღნიშნავდა: „ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ სულ უკანასკნელ ადგილზე ვიდგით. ახლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე წამოვიდეთ.“

1940 წ. სსრკ ყველა ელსადგურმა 25-ჯერ მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, ვიდრე მეფის რუსეთის ელსადგურებმა 1913 წ. და ელექტროენერგიის წარმოების მხრივ მეორე ადგილზე გამოვედით ევროპაში და მესამეზე — მსოფლიოში.

ელექტროფიკაციის ასეთი ტემპები არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის ელექტრული ენერგიის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირი მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში და პირველზე ევროპაში.

ენერგეტიკოსთა 30 წლის მუშაობის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს მძლავრი ენერგეტიკული სისტემების შექმნა ჩვენს ქვეყანაში. ისეთი მძლავრი და რთული სისტემები, როგორიცაა მოსკოვისა, ურალისა, დნებრ-დნეპრისა, ლენინგრადისა, კუზბასისა, საქართველოს, სომხეთისა და სხვ. თავიანთ შემადგენლობაში ითვლიან ათეულ და მეტ ელექტროსადგურს, რომელიც ენერგიით კვებვენ უზარმაზარ — ათობით ათას კვადრატული კილომეტრ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოებსა და ქალაქებს.

სამაჟლო ომის პირველსავე დღეებში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა ახალი მძლავრი ელსადგურების ჩქაროსნულ მშენებლობას ურალზე, ციმბირში და შუა აზიაში. ამ ელსადგურებს ელექტროენერგიით უნდა უზრუნველყვით თავდაცვითი მრეწველობის უდიდესი საწარმოები.

სსრკ ელექტროფიკაციამ შესაძლებელი გახადა ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ელექტროფიკაციის ბაზაზე გატარდა მრეწველობისა და ტრანსპორტის, მშენებლობითა და სოფლის მეურნეობის ტექნიკურად ახლად აღჭურვა. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, როგორიცაა, მაგალითად, ელექტრომეტალურგია (ფეროშენიანობები, ალუმინის, სპილენ-

ძის და მაგნიუმის ელექტროლიზი), ელექტროქიმია. ელექტროენერგიის ტექნოლოგიურმა გაჯერებამ წინამძღვრები შექმნა ხარისხიანად ფართოდ, ფერადი ლითონებისა და სხვადასხვა ქიმიკატების გამოშვების მეფეთად გადიდებისათვის.

მაღალ ღონეს მაღალმა მრეწველობის სხვადასხვა დარგების ელექტროფიკაციამ ავტომატიზებული ელექტროამბარის, აგრეთვე ელექტროთერმისისა და ელექტროშედულების დანერგვის საფუძველზე. სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენებას პოულობს ელექტროენერგია სოფლის მეურნეობაში. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტრანსპორტის, ქალაქებისა და ყოფაცხოვრების ელექტროფიკაცია.

ელექტროენერგეტიკასთან ერთად თბოფიკაციის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში ძლიერ განვითარდა თბოენერგეტიკაც. თბოელექტროცენტრების სიმძლავრის მხრივ სსრკ პირველია მსოფლიოში.

ამ ბუმბერაზულ ენერგეტიკულ მშენებლობაში და მრეწველობის სხვადასხვა დარგების ელექტროფიკაციაში ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს, რომელიც უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების ქვეყანას წარმოადგენს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში საძირკველი ჩაეყარა და აშენდა „გოელროს“ ერთერთი პირველი — ზემო ავგალის ჰიდროელსადგური (ზაჰესი). ზაჰესის შემდეგ სტალინური ზეოქსიდების მიხედვით აგებულ იქნა მთელი რიგი მსხვილი ჰიდროელსადგურები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილ უკავია ხრამის მარეგულირებელ სადგურს, რომელიც უნიკალური ხრამ-ფარავანის კასადის ერთერთ რგოლს წარმოადგენს.

საქართველოს ელექტროფიკაციის ბაზაზე შეიქმნა მეტალურგიული, ლითონდამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობა, ფართოდაა ელექტროფიკირებული ჩვენი რკინიგზები, სოფლის მეურნეობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები.

„გოელროს“ გეგმის განხორციელებამ და ელექტროფიკაციის შემდგომმა განვითარებამ უდიდესი როლი ითამაშეს სოციალიზმის აგების საქმეში. ელექტროფიკაციის საფუძველზე, რასაც ამაზაგი სტალინი წარმართავდა, ჩვენი ქვეყანა ტექნიკურად ახლად აღიჭურვა და მსოფლიოს უძღვავისილეს სახელმწიფოდ იქცა.

ამაზაგ სტალინის ხელმძღვანელობით ელექტროფიკაციის გეგმის გრანდიოზული მასშტაბით განხორციელება იქცა არა მარტო ერთერთ უმნიშვნელოვანეს წინამძღვრად ჩვენი გამარჯვებისა დიდ სამაჟლო ომში, არამედ მავალითადაც ყველა ხალხებისათვის. ამ მხრივ აღსრულდა ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება: „... თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრ ტექნიკური დანადგარების ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა ნიმუშად იქცევა მიმავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის.“

საქართველოს შინაგარეო საგარეო პოლიტიკის განვითარება

პირველი ნაწილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშრომები წგნები

ბერძენიული ქვეყნებში მეცნიერება სეისმოლოგიის განვითარების შესახებ ჩანასახ მდგომარეობაშია. ასეთივე მდგომარეობაში იყო ეს საქმე რევოლუციამდელ რუსეთშიც. ინტერესი ნაგებობებზე მიწისძვრათა მოქმედების საკითხისადმი ცხოველდებოდა ხოლმე, უშუალოდ კატასტროფული მიწისძვრების შემდეგ, მაგრამ ისევე მალე დღნდებოდა. ეს აიხსნება იმით, რომ მიწისძვრათა შედეგების შესწავლა ნათელყოფდა, რომ კატასტროფის თავიდან აცილებისათვის საჭირო ზომები იწვევენ მშენებლობის გაძვირებას სეისმურ ადგილებში, ე. ი. ადგილებში, სადაც მიწისძვრები ხდება. ამიტომ ბერძენიული კალკულისის თვალსაზრისით უფრო რენტაბელურად იყო მიჩნეული არ გაედიდებიათ სამშენებლო ხარჯები და ამის ნაცვლად სათანადო შემთხვევაში, ისიც იშვიათად, მხოლოდ კატასტროფული მიწისძვრების შემდეგ, განეხირონ ცილებმათა აღდგენითი სამუშაოები, რომელთა ღირებულება გაცილებით ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რაც საჭირო იქნებოდა ნაგებობათა მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამ მსჯელობაში, რაც ტიპიურია ბერძენიული მორალისათვის, ადამიანთა უშიშროება მეორე პლანზე დაყენებული, ხოლო პირველზეა — კონკრეტული ანგარიში. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი მორალი უცხოა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის.

1920 წელს გორში დამატკეპარი მიწისძვრა მოხდა. მაშინ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არ არსებობდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის მესსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გორის მიწისძვრასთან დაკავშირებული ამბები და როცა 1924 წელს მოხდა ლენინგადის მიწისძვრა, უკვე დაწყებული იყო ნაგებობათა სეისმოლოგიის პრობლემათა საიტემატური შესწავლა. ერთდროულად ამვე პრობლემების შესწავლას შეუდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ისეთ ადგილებში (ალმა-ატა, ერევანი და სხვ.), რომელსაც მიწისძვრა ემუქმებოდა.

იმის შემდეგ, რაც საკმაო რაოდენობით დაროვდა გამოკვლევათა მასალა, სრულ მეცნიერებათა აკადემიაში ჩაყოყაიბდა ანტიცეისმური მშენებ.

ლობის ცენტრალური ბიურო, ხოლო სეისმურ რესპუბლიკებში — რესპუბლიკური ბიუროები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ასეთი ბიურო შემდეგში სამშენებლო საქმის ინსტიტუტად გადაკეთდა.

საბჭოთარი მიდგომა მიწისძვრათა დამატკეპარ შედეგებთან ბრძოლის საკითხისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები ადამიანის სიცოცხლისათვის საჭირო უშიშროების უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხარჯების გაწევა იქნება საჭირო ამისთვის. მიწისძვრათა გამაძგურებელი შედეგები თავიდან უნდა იქნას აცილებული რადაც უნდა დაგვიჯდეს. ამაში გამოვლინდა სტალინური ზრუნვა ადამიანებზე.

იგულისხმება, რომ ეფექტური ბრძოლისათვის საჭიროა მტარის შესწავლა. მიწისძვრათა შედეგების ანალიზისა და გამოკვლევების განზოგადების საფუძველზე შექნაილია სეისმოლოგიის საბჭოთა „ინსტიტუტი“ თეორია, რომელმაც ბევრად გაუსწორო წინ იაპონელ მეცნიერთა პრიმიტიულ „სტატისტიკა“ თეორიას. ჩვენ, ავ თეორიით შეიარაღებულთ, შესაძლებლობა მოგვეცა გავითვალისწინოთ ნაგებობათა ქვედა მიწისძვრების შემთხვევაში და მივცეთ ისეთი კონსტრუქცია, რომელიც მათ დანგრევისაგან დაცავს. ასეთი კონსტრუქციის ანტიცეისმური ეფექტები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საქართველოში მოხერხდა სეისმურ ადგილებში ქვის ნაგებობათა რეაბილიტაცია და დამტკიცება იმისა, რომ შედარებით მარტივი ზომებით შეიძლება მიგაღწიოთ მათს საკმაო სეისმოლოგიისა. ქვის ნაგებობათათვის დამუშავებული ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია რკინაბეტონისა და არმირებული ქვის სეისმური სარკელები, ქვის კედლების გარეგანი არმირება, ვადასახურის ძელების ჩაანკერება და სხვ. მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების, რკინაბეტონის სარკელების ნაცვლად, დამუშავებულია უფრო უბრალო ხის სარკელები.

იმის შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დამუშავა ანტიცეისმური კონსტრუქციები და მათი განაგებების მეთოდები, მათ უახლოესი მომავლისათვის მიიღეს სეისმურ ნაგებობათა დამა-

ექტებისა და აგების ტექნიკურ პირობათა შედგენაში.

ამ საქმეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო ინსტიტუტის როლი აღნიშნულია როგორც ანტიცისფური მშენებლობის დამტკიცებული ნორმების წინასიტყვაობაში, ისე ანტიცისფური მშენებლობის შესახებ 1948 წელს შემდგარ საკავშირო თათბირის რეზოლუციებში. გარდაამისა, დიდი მუშაობა ჩატარდა დამატეგვარ მიწისძვრათა შემთხვევაში საჰაერო ექსპედიციების მოსამზადებლად, — სახელდობრ ღიათფის შედგენილია სათანადო ინსტრუქცია და მომზადებულია კადრები.


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის ექსპედიციებმა, კერძოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1946 წელს ჩრდილო-ფერგანაში (შუა აზიაში) და 1948 წ. აზერბაიჯანში მომხდარი მიწისძვრების შედეგების შესწავლაში და მოსახლეობისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენაში. ორივე ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგები წარმოდგენილია მონოგრაფიებად და მზად არის დასაბეჭდად.

რაც უფრო დიდი მოსალოდნელ მიწისძვრათა ინტენსივობა ამა თუ იმ რაიონში, იმდენად უფრო რთულ ღონისძიებათა განხორციელება საჭირო ნაგებობათა სეისმომდგრადობის უზრუნველსაყოფად ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწისძვრათა წინასწარმეტყველების (პროგნოზის) პრობლემას. ეს პრობლემა ძალზე რთულია და დღემდე არ არის გადაჭრილი, მაგრამ სამისო მუშაო-

ბა უკვე დაწყებულია. თუმცა ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს წინასწარ ამა თუ იმ სოხუსტრუქციულ ვალისწინოთ დამატეგვარ მიწისძვრათა დრო და მისი ძალა (ბალი), მაგრამ საკმაო მონაცემები მოგვეპოვება იმისათვის, რომ მოვახდინოთ სეისმური დარაიონება, ე. ი. დავადგინოთ, თუ რა სიძლიერის მიწისძვრაა შესაძლებელი გარკვეულ რაიონში. დარაიონების გატარებისას მხედველობაში მიიღება, როგორც მიწისძვრათა სტატისტიკა, ისე აღვიწმინდება გეოლოგიის ტექტონიკის თავისებურებანი.

ამავე დროს გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ნაგებობებზე მიწისძვრის ზემოქმედების ძალზე უშუალო გავლენას ახდენს ქვემდებარე გრუნტების ხასიათი. აქედან წამოიჭრა საჭიროება, გარდა საერთო სეისმური დარაიონებისა, მოვახდინოთ მიკროდარაიონება. ეს საკითხი რთულია და ახალი; ის სპეციალურად იქნა შესწავლილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტში. ამ გამოკვლევათა საფუძველზე შედგენილია სათანადო ინსტრუქცია მიკროდარაიონების ჩასატარებლად. ამ ინსტრუქციის შესაბამისად ჩატარდა თბილისის, რუსთავის, კიათურის, ტყაბულისა და ტყვარჩელის სეისმური მიკროდარაიონება.

ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში უმაღლესად ფასდება ადამიანის სიცოცხლე და ისეთ მრისხანე მოვლენებთან საბრძოლველად, როგორიცაა მიწისძვრა, მუდამ მზად არის ჩვენი მეცნიერ-მუშაკებისა და ინჟინერ-მშენებლების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.



დიდი გარდაქმნა

გიორგი ჩიჭაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მეოთხე ხუთწლიანათვის მიზნად დაისახა ბარის საქართველოს მოსახლეობის ძველი და ახალი ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლა. ამ შესწავლის ძირითადი ამოცანა — გამოვლინებულ იქნას უშუალო მწარმოებელთა შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილება და კულტურული მიღწევები, რომლებიც ხალხს საუკუნეების მანძილზე მოუპოვებია და რომელთაც ხალხი ქმნის დღესაც, ახალ პირობებში, სოციალიზმის ხანაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ დასახული გეგმა პირველ რიგში ითვალისწინებდა ბარის საქართველოდან ქართლის მოსახლეობის მონოგრაფიულ აღწერას. ამ გეგმის შესაბამისად რიგი წლების მანძილზე ქართლს იკვლევს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი. ეთნოგრაფიის განყოფილება. მისმა თანამშრომლებმა ქართლის ტერიტორიის დიდ ნაწილში უკვე ჩაატარეს საველე მუშაობა (არაგვის, ქსნის, ლეზურას, მეჯულის, პატარა და დიდი ლიახვის აუზები). 1947-49 წ. წ. ექსპედიციები სწავლობდნენ დასახლების ტიპს, საცხოვრებელსა და სამეურნეო ნაგებობებს, ჩამოვლობას, ვადისაზიდ საშუალებებს, მეურნეობის სახეებს, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის საკითხებს. ექსპედიციის მუშაობის შედეგად მოპოვებულია მეტად მნიშვნელოვანი მასალა, რომელსაც ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება გამოსაცემად ამზადებს. ერთი საყურადღებო საკითხთაგანი, რომ-

ლის შესახებ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას მეტად მნიშვნელოვანი მასალა დაუგროვდა, ქართლის ველების მორწყვის საკითხი.


საუკუნეთა მანძილზე ქართლის ველების მეურნეობაში წამყვან დარგად მემინდვრობა ითვლებოდა.

მშრომელთა ფართო მასების მუდმივი მზრუნველობისა და ფიქრის საგანს კარგი მოსავლიანობის უზრუნველყოფა შეადგენდა. ამ მიზნით ხალხმა ძველად რიგი ხერხები გამოიმუშავა, რომელთაგან ერთი წყება რაციონალურ საშუალებებს განეკუთვნება, ხოლო მეორე წყება — ირაციონალურია და მაგიურ-რელიგიური ხასიათისაა.


გვალვის საწინააღმდეგო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად და ყველაზე ეფექტურ საშუალებად ხალხში მინდვრის მორწყვის სისტემა (აწყლით გათქორება), იყო მიჩნეული, მაგრამ კერძო საკუთრების პრინციპზე დამყარებული საზოგადოების ვითარებაში, როცა მეურნეობა დაქუცმაცებული სახით იყო წარმოდგენილი, ქართლის ველობზე ეს საშუალება დიდი მასშტაბით არასოდეს არ ყოფილა განხორციელებული.

ძველი საქართველოს აყვავების ხანაში, თამარ მეფის დროს, ქართლის ველობზე, რომლის შესახებაც იმსჯელობთ, მხოლოდ ორი არხია დასახელებული (იხ. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“).

მე-19 საუკუნეში ცარიზმის დროს, არც ერთი ამ დიდ რუთაგანი არ მოქმედებდა და გამოყენებული იყო მხოლოდ მცირე რუბები; ამავდროულად ყვე-



ტირიფონის არხის ერთი უბანი. წყალი მდ. მეჯულის ქვეშ გადის (სოფ. მეჯერისხევი).



ძველებური რუსხმული (ს. მერეთი)

ლაზე უდიდესი ოციოდე კალმეტრის სიგრძისა იყო. სარწყავი წყლის სიმცირე მეზობელ სოფლებს შორის იწვევდა დევას და ჩხუბს, რომელიც არა-იშვიათად აღმანიათა მსხვერპლით თავდებოდა.

სულ სხვა ვითარებაა შექმნილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს მინდვრის მორწყვის საქმეს და დიდი მასშტაბით ახორციელებს მას. ამავე დროს ეს საქმიანობა მაღალ ტექნიკურ მონაპოვართა საფუძველზეა დამყარებული.


ამ მხრივ საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც სათავეში უდგანან ქართველ ხალხს, კარგად ასრულებენ დიდი ლენინის იმ მითითებას, რომელიც აღნიშნულია მის 1921 წლის 9 მარტის წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთის რესპუბლიკის ბოლშევიკებისადმი. ლენინი წერდა: „ერთბაშად უნდა შევიცადოთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა და შეუდგეთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდ სამუშაოებს. მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დამარბავს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“ (ვ. ი. ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1934 წ. გვ. 187).

საბჭოთა წყობილების პირობებში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ამხანაგ სტალინის მეთაურობით გატარდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც გულისხმობდა ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქ-

მნას ახალ სოციალისტურ საწყისებზე დარომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობის მქონეა.

ეს ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება დასახა, თეორიულად დაასაბუთა და განახორციელა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გენიამ.

ამ რევოლუციურ გარდაქმნათა საფუძველზე ხალხს დიდი შესაძლებლობა მიეცა გაეშალა თავის წიაღში ჩამარბული, წინათ შებოჭილი ძალები,



მორწყვის ახალი სისტემა ს. თორტხაში. ტირიფონის არხი დაშტრიბულია. ძეგლი რუ-შავითაა აღნიშნული.

შეექმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ქართლის გეოლოგებზე დამკვირვებლის წინაშე გასაოცარი სურათი იშლება თვალწინ. მარტო ტირიფონის არხი, რომელიც ლიხვიდან გამოდის; სტალინთან იწყება და ხრვალეთამდე და ნაღარაზევამდე მიედინება, მინდვრის უდიდეს მასივს რწყავს და მით ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას.

ნაცვლად ძველი რუებისა, გოდორაურებისა, ლარბლებისა, რუსხულებისა, ასაყანებისა, სახევებლებისა, საყოფელებისა და სხვ., ტირიფონის არხი, მოწყობილი დღესათი ამოკირული სათივეებით, აქვედუკებითა და მდინარისქვეშა გაყვანილობებით (ი. წ. სიფონები), უხვ წყალს აწვდის გვალვის პირობებში წყლით დამშრულ ქართლის მინდვრებს. მშრომელი მოსახლეობა განსაკუთრებით აფასებს დიდი ლიხვის წყალს, რომელსაც დიდი რაოდენობით შეაქვს საკოლმეურნეო მინდვრებში ნიადაგის


გამაპოხიერებელი ნაში, ვიდრე რომელიმე სხვა მდინარის წყალს.

ჩვენ დიდი გარდაქმნის მოწამენი ვართ. ჩვენ უდაბური ადგილები ახალი სოფლებითაა გაშენებული, ხოლო ის სოფლები, რომელიც წინათ მოტიტველები იყო, ახლა წალკოვად არის ქცეული და უხვი მოსავლის მტკიცე ბაზას წარმოადგენს (ქვეში, ფლავი; თორტიზა, ზერტი, ზელდულეთი და სხვ.). კოლექტიური შრომასთან ერთად ამ პირობებზე ქართლის პურეულდების კულტურა უფრო ინტენსიური გახადეს. ფართო გასაქანი ჰპოვეს ხილის ბაღებმა, მეხოსტენობამ და შაქრის კარხლის ახალმა კულტურამ. კოლმეურნეთა თქმით, სარწყავ წყალს მოჰყვამენ შაქრის კარხალს.

ამავე არხის გაყვანამ შესაძლებელი გახადა ჰიდროელსადგურების აგება და ქართლის ამ ტერიტორიის მოსახლეობის ელექტროგანათებით უზრუნველყოფა. ილიჩის ნათურასა და რადიოგაყვანილობას დღეს აქ თითქმის ყველა კოლმეურნის ოჯახში ეხვედბით.

კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეურნეობის უმაღალითეს ზრდასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეთა ცხოვრების მატერიალური დონე, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო სოციალისტური კულტურის ფართო დანერგვა. ათვისებულია ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ფართოდაა გამოყენებული აგრონომიული მეცნიერების მანქანები. შეიცვალა დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. ამასთან ერთად შეიცვალა საცხოვრებელი ბინების შინაგანი მოწყობილობა. კოლმეურნეობას ჰყავს თავის წრილად განთავსებული ინტლიგენცია (აგრონომები, აგროტექნიკოსები, მექანიკოსები, მასწავლებლები, ექიმები და ექიმის თანამეშვერები). კოლმეურნეთა ცხოვრების ორგანიზაცია კოლმეურნეობის საზოგადოებრივ საქმედ იქცა. საკოლმეურნეო ცხოვრებაში დამკვიდრებულმა ახალმა საწარმოო ორთიერთობამ შედარებით მოკლე დროში გარდაქმნა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მრავალი წეს-ჩვეულება და შექმნა თანამედროვე ცხოვრების შესაბამისი ახალი მზარდი კულტურა, რომელიც უკვე ჩვეულებითაა გაღაზრდილი.

ქართლის ცხოვრებაშიც ნათლად ჩანს საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებათა სიდიადე და დღევანდელი ქართლელი კოლმეურნე გლეხობა მთელ საბჭოთა გლეხობასთან ერთად „სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სკოდნია“ (ი. სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, 1937 წ., გვ. 29).



რიგითი კოლმეურნის სახლი სოფ. თორტიზაში.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები



ი. ბ. სვადიშვილის დაბადების 70 წლისთავისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხანის

1949 წ. 19 დეკემბერს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის საექტო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სვადიშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. შანიძემ**.

მოსხენება თემაზე „ბელადის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში“ წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. ჩიქოვანმა.

ხალხურ შემოქმედებაში, — ამბობს ამა. ჩიქოვანი, — ამხანაგი სტალინი ნაშთილი სახალხო გმირია, რომელიც იბრძვის სიმაართლისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, ამარცხებს კლასობრივ მტრებს და კომუნისტებისათვის მიჰყავს საბჭოთა ხალხი.

დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრებასა და მოღვაწეობას ქეშმარიტ რეალისტურ სახეებში ასახავს ქართულ ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრი. მცირე ფორმის ნაწარმოებებთან ერთად ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ჩვენ. ამჟამად მოგვეპოვება ლირიკულ-ეპიკური თხზულებანი, სადაც ხალხი უმღერის თავისი საყვარელი ბელადის მსოფლიო-ისტორიულ საქმეებს, მის ცხოვრებას.

დიდი სტალინის შესახებ შექმნილი ლექსები ქართული ფოლკლორის ოქროს საგანძურს შეადგენს. სახალხო მკვლევარი დიდი სტალინის სახის ჩვენებისას მხატვრული აზროვნების მწვერვალებს აღწევს. ამ ლექსებში ხალხის აზრი და გრძნობა, დიდი სტალინისადმი უდიდესი სიყვარული და ერთგულება ჩაქოვნილი.

მადლიერი ქართველი ხალხი საუკეთესო სურვილებს უგზავნის თავის ღმერთ შვილს და ბელადს საყვარელ **ბტალინს** მისი დაბადების 70 წლისთავზე:

შენ იღვგრეკელე, ბელადო,

მანამდე მტკვარი დისაო,

სახელი ჯუღაშვილისა —


როგორც ამოვლა მზისაო.

სესიამ მოიხსნა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბაჯაძის მოხსენება თემაზე: „ლენინური სტალინური ნაციონალური პოლიტიკა და საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება“.

მოხსენებაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე მოგვცა მეცნიერული თეორია ერის რაობისა და განვითარების შესახებ, ჩამოაყალიბა ბოლშევიკური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის პრინციპები. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მუშათა კლასის დიქტატურა დაამყარა, — აღნიშნა მოხსენებელმა, — ნაციონალური ჩაგვრისგან გათავისუფლა დამონებული ხალხები, მათ შორის ქართველი ერიც, და შექმნა მტკიცე ბაზა ხალხთა ძმური თანაშრომლობისა და ერთიან თანასწორუფლებიან ოჯახად მათი გაერთიანებისათვის. ლენინურ-სტალინურ პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე ქართველმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობითა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით შექმნა ახალი ტექნიკით შეიარაღებული, მრავალდარგისანი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, უზრუნველყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელად აღმავლობა. საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა.

იმის შემდგომ სტალინურ ხელმძღვანელობის მიერ ქართველთა ეკონომიური განვითარების დამახასიათებელ თვისებურებას წარმოადგენს მძლავრი ზრდა მისი მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველია“ (კ. ჩ ა რ კ ე ა ნ ი). საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც ყველა მომე რესპუბლიკების, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგის აყვავება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობის შედეგია.

ყოველივეთი იქნა მოსმენილი ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის პ. გუგუშვილის მოხსენება თემაზე: „სტალინური მოძღვრება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ“. მოხსენებელმა ფართოდ გააშუქა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური მოძღვრებისა და ამ მოძღვრების საფუძველზე წერილ გლხურ მეურნეობათა



აგლბარის ყოფილი არალეგალური სტამბის რესტავრირებული შენობა. ამ სახლის სარდაფში 1903 წლის ნოემბრიდან 1906 წლის 15 აპრილამდე არსებობდა არალეგალური სტამბა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი.

მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებზე გარდაქმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

კოლმეურნეობების მიერ მოპოვებულ მიღწევათა ანალიზის საფუძველზე, პროფესორმა პ. გუგუშვილმა გააშუქა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მშრომელი კოლმეურნე გლეხობის შეძლებულობისა და კეთილდღეობის შეუჩერებელი ზრდის კანონზომიერება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უდიდესი როლი დიდი სამამულო ომის წლებში, ომის შემდგომ ხუთწლეულში სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდისა და აღმავლობის საკითხი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. შარიაშ თავის მოხსენებაში „ზოგი საკითხი ი. ბ. სტალინის მოძღვრებიდან ერის შესახებ“ ხაზი გაუსვა ამხანაგ სტალინის მიერ ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე ნაციონალური საკითხის მარკსისტულ-ლენინური თეორიის შემუშავების ისტორიულ მნიშვნელობას. ამხანაგ სტალინის მოძღვრება ერის შესახებ საფუძვლად დაედო ნაციონალურ საკითხის გადწყვეტას საბჭოთა კავშირში, რაც დაგვირგვინდა ისტორიაში უმაგალითო მრავალეროვანი უძლიერესი სოციალისტური სახელმწიფოს აშენებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების ხელში ერთ-ერთი უმძლავრესი იარაღია მათ გა-

მათავისუფლებელ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, — აღნიშნავს მოხსენებელი, — ი. ბ. სტალინის მოძღვრებას სოციალისტური ნაციების შესახებ, როგორც სრულიად ახალი ისტორიული კატეგორიის შესახებ, მათი ისტორიული განვითარების გზების გარკვევას კომუნიზმის დაბალ და მაღალ ფაზებთან დაკავშირებით.

სამეცნიერო სესიის პირველ სხდომაზე დიდი აღფრთოვანებით და მჭუხარე ოვატით იქნა მიღებული მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა ი. ვეკუაშ.

სამეცნიერო სესიის პირველი სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა რ. შადურმა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა თ. ქვლივიძემ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიის მეორე სხდომა შესდგა 1949 წ. 20 დეკემბერს აკადემიის სასსდომო დარბაზში.

ესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის არნ. ჩიქობავას მოხსენება თემაზე: „ენის პრობლემები ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომებში“. მოხსენებელმა აღნიშნა

რომ მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი ენისა და ენათმეცნიერების შესახებ საბჭოთა ენათმეცნიერების პრინციპულ საფუძვლებს ქმნიან.

ინტერესი გამოიწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ჩიტაიას მოხსენებამ თემაზე „ახალი ყოფა გორის რაიონის სოფ. თორტიზის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში.“

სოფ. თორტიზის მავალითზე მომხსენებელმა დაგვანა, თუ როგორ უზრუნველყო საკოლმეურნეო წყობილებამ სოფელ სოციალისტური კულ-

ტურის ფართოდ დაწერგვა, კულტურული მშენებლობის გაჩეცვა, საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული მრავალ წეს-ჩვეულებათა გარდაქმნა.

სამეცნიერო სესიები, მიძღვნილი ამანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი, ჩატარდა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, ფილოსოფიის და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებში.

ზიზიკისა და გეოზიზიკის ინსტიტუტის ამსაგდინიება

ზრა-ფარავანის კასკადის (ჩანჭერის) ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით 1949 წლის ზაფხულში ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ელექტრომეტრიულმა ლაბორატორიამ ტრესტ „ჰიდროენერგობროექტის“ თბილისის განყოფილების დავლებით ჩაატარა ელექტრომეტრიული გამოკვლევები (ხელმძღვანელები — დოცენტი ვ. ქებულაძე და ინჟინერი-გეოლოგი — დ. ციციშვილი). გამოკვლევათა მიზანს შეადგენდა მომავალი ჰიდროელექტროსადგურების რაიონების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა.

